ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

26 თებერვალი 2015 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №22

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას ანგარიში

2014 წლის მეორე ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას ანგარიში 2014 წლის მეორე ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას ანგარიში

2014 წლის მეორე ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონს - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარმოგიდგენთ ანგარიშს 2014 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდის დასრულებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 12 879 800 ლარი. ბოლო 6 თვეში საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა 1 635 400 ლარით. აქედან 1 360 800 ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სპეციალურ ტრანსფერებს. (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 1 017 700 ლარი, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე 243 100 ლარი, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 100 000 ლარი).

ადგილობრივმა შემოსავლებმა შეადგინა 274 600 ლარი. კონკრეტულად, ზრდა მოხდა ადგილობრივი გადასახადების შემდეგ სახეებში: ქონების გადასახადი - 88 800 ლარი; ჯარიმები, სანქციები, საურავები - 43 800 ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 57 700 ლარი; მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშებზე დარიცხული თანხებიდან მიღებული სარგებელი - 26 700 ლარი; არაფინანსური აქტივების კლების შედეგად - 7 300 ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი - 19000 ლარი.

წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე რიცხული თავისუფალი თანხების ნაშთმა შეადგინა 48 400 ლარი.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ორიენტირებული იყო სოციალური საკითხების მოგვარებაზე. გასულ წელს, მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ 866 ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება. სახლების შეკეთება და გამაგრებითი სამუშაოები 58 ოჯახს დაუფინანსდა. ბოლო 6 თვეში ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 41 800 ლარი დაიხარჯა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახებს გადაეცათ 13 645 ლარი. მთლიანად სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად 310 000 ლარი დაიხარჯა.

მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთერთ საფუძველს წარმოადგენს თვითმმართველობის ქონება. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არსებული ქონების აღრიცხვას, ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგს.

მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ეტაპობრივად, მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. კერძოდ, 2014 წლის მეორე ნახევარში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 23 ერთეული შენობა-ნაგებობა მათზე დამაგრებულ 26 057 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად; მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულია 12 ერთეული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით - 13937 კვ.მ. (მათ შორის - 3 ერთეული საპრივატიზებო), ასევე, მოთხოვნილია თანხმობა 5 ერთეულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე - საერთო ფართობით - 21 356 კვ.მ. (მათ შორის - 2 ერთეული საპრივატიზებო).

2014 წელი, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ინტენსიობით გამოირჩეოდა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის #471 განკარგულებით, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 630 000 ლარი. სოფლებში ჩატარებული საერთო კრებების გადაწყვეტილებების საფუძველზე შედგენილი პროექტების მიხედვით დაფინანსდა პრიორიტეტულად მიჩნეული სამუშაოები, მათ შორის: მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის რებილიტაციაზე დაიხარჯა 82 160 ლარი. გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობაზე - 201 611 ლარი; გარე განათების მოწყობაზე - 86 996 ლარი; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე - 15 348 ლარი; სამედიცინო ამბულატორიების, კულტურული და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია - 59 576 ლარით დაფინანსდა. სპორტული მოედნების მოწყობაზე - 17 449 ლარი დაიხარჯა; სოფლის სასაფლაოების მოწესრიგებისათვის 67 958 ლარი გამოიყო. სულ სოფლის დახმარების პროგრამით 123 პროექტი დაფინანსდა.

რეგიონული განვითარების ფონდიდან 2014 წელს მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძელზე, გამოეყო 2 939 913 ლარი, აქედან საანგარიშო პერიოდში 1 005 000 ლარი.

მოწესრიგდა და ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგო დაბა ჩოხატაურის 5 ქუჩაზე. 4 საბავშვო ბაღი გარემონტდა, 2 ახალი საბავშვო ბაღი აიგო (სოფელ ზოტში საბავშვო ბაღის მშენებლობა ბოლომდე არ დასრულებულა, მშენებელ კომპანიას ერიცხება ჯარიმა).

ასევე პრობლემა შეიქნა კულტურის სახლის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, (NBG) სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო, შეუწყდა ხელშეკრულება. აღნიშნული კომპანიისთვის უპირობო ფინანსურ გარანტორს „არდი ჯგუფს“ დაწყებული აქვს საავანსოდ გადარიცხული თანხების დაბრუნება, რაც საერთო ჯამში 445 000 ლარს შეადგენს. მიმდინარე წელს რეგიონალური განვითარების ფონდში აღნიშნული ობიექტის მშენებლობის გასაგრძელებლად ჩასმულია 700 000 ლარი. მიმდინარეობს კულტურის სახლის

პროექტის გადამუშავება. პროექტის ახალი ვარიანტი მნიშვნელოვნად იაფი იქნება (ნაცვლად 4 600 000 ლარისა, სავარაუდოდ, 2 800 000 ლარს არ გადააჭარბებს).

მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი იქნა 1 330 000 ლარი, აქედან საანგარიშო პერიოდში 1 005 000 ლარი.

გასულ წელს შეკეთდა და აშენდა 22 ხიდი, მათ შორის 6 საავტომობილო. გადაიხურა 23 საცხოვრებელი სახლი და სოფელ ქვენობანში 12 ბინიანი საცხოვრებელი. ბოლო 6 თვეში მცირე და საშუალო მოცულობის 74 პროექტი განხორციელდა.უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე მოასფალტდა დაბა ჩოხატაურში ჟანი კალანდაძის სახელობის ქუჩა, სოფელ ბუკისციხეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა და სოფელ იანეულში დამატებითი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საბავშვო ბაღს.

გასული წლის ნოემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილია მასალები თანხის გამოყოფის თაობაზე. მოთხოვნილი თანხის ოდენობა 480 420 ლარს შეადგენს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2551 განკარგულებით, პროექტირებისათვის გამოიყო 10 000 ლარი. მიმდინარეობს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

გამგეობის სამსახურების მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2015 – 2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განიხილა და მოიწონა მუნიციპალიტეტის საკრებულომ და დაამტკიცა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებულმა სამხარეო-საკონსულტაციო საბჭომ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაგზავნილი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2015 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებები დამტკიცებულია. საერთო მოცულობამ შეადგინა 3 200 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში განახლდა გაზიფიცირების სამუშაოები. მთავრდება დაბის გაზიფიცირება. მიმდინარეობს რამდენიმე სოფლის დაპროექტება. მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, რომ რიგი სოფლები მხოლოდ სანახევროდ არის გაზიფიცირებული, მიუხედავად იმისა, რომ დაპროექტება წლების წინ დასრულდა. ამ მხრივ საქართველოს მთავრობის დახმარება (კონკრეტულად, ენერგეტიკის სამინისტროს ინვესტორთან ურთიერთობის კუთხით) ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ბოლო 6 თვეში, გაერთიანებული წყალმომარაგების სახელწიფო კომპანიასთან ჩვენი ინტენსიური მუშაობის შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მდინარე სუფსაზე ახალი წყალსაქაჩის მშენებლობის თაობაზე. მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ დაბა ჩოხატაურის წყალმომარაგების საკითხი გადაიჭრება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს

მთავრობის გადაწყვეტილება, სურების ხეობის სოფლებთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის თაობაზე. ამ მიზნით გამოიყო 500 000 ლარი.

რაც შეეხება სოფელ ზემოსურებისათვის ელ.ენერგიის მიწოდების საკითხს, მოგვარებულია და ათი წლის შემდეგ ამ სოფელს პირველად მიეწოდება სისტემური ელ.ენერგია.

საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც მოქმედებდა დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით. სამსახურის მიერ პერიოდულად ტარდებოდა პრევენციული კონტროლის ღონისძიებები საფინანსო დისციპლინის, ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის შესრულების უზრუნველსაყოფად. შემოწმებული იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობა. ა(ა)იპ „კურორტ ბახმაროს“ შემოწმებისას გამოვლენილი იქნა ცალკეული დარღვევა-ნაკლობვანებანი, კერძოდ, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის ხელზე აღების ფაქტებს. ასევე შემოწმებით დადგინდა რომ ა(ა)იპ - ის ადმინისტრაციას არ გააჩნდა საკუთარი შემოსავლების მობილიზაციის ერთიანი ხედვა.

გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე გატარებული იქნა შესაბამისი ღონისძიებანი, კერძოდ, 4 მუშაკს, რომლებიც დასაქმებული იყვნენ ელ.ენერგიის ღირებულების ამოღებაზე, არ გაუგრძელდებათ ხელშეკრულება. ცალკეულ თანამშრომლებს დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელები. ამასთან სეზონის დაწყებამდე შესაბამისი სამსახურების მიერ გადამოწმდება კურორტ ბახმაროში უნებართვო მშენებლობის საკითხები და გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ასევე შემოწმება ჩატარდა ა(ა)იპ „სპორტის განვითარების ცენტრში“ სადაც გამოვლინდა ნაკლოვანებანი ბუღალტრულ აღრიცხვაში. რაც შეეხება ა(ა)იპ - ებს „სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სკოლა, შპს საფეხბურთო კლუბი „ბახმარო 2009“ - სერიოზული სახის დარღვევა - ნაკლოვანებანი არ გამოვლენილა.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკური სამსახური, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის 2015 წლის ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების მომზადებასა და განხილვაში. მუნიციპალიტეტში, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლების დახმარებით, ჩატარდა მოკვლევა სამუშაო ძალისა და პროფესიული რესურსის შესწავლის მიზნით. მიღებული ინფორმაცია განთავსდა მუნიციპალიტეტის ერთიან საინფორმაციო ბაზაში.

საკურორტო პოტენციალისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით კულტურის განყოფილებასთან ერთდ, მომზადდა რამდენიმე საპროექტო წინადადება. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსდა ყველა ტურისტული მარშუტი, ფოტოსურათებით, მოკლე ანოტაციითა და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსებით.

ბოლო 6 თვეში სრული დატვირთვით ამოქმედდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი. შეიქმნა ელექტრონული სერვისების გვერდი, სადაც მიმდინარეობს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობის სისტემაში საკრებულოს სამართლებრივი აქტების არქივის შექნა. ამ არქივის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ყოველგვარი წინასწარი წერილობითი თხოვნის გარეშე, სამართლებრივი აქტის მოძიება და ამოღება. განხორციელდა ქსელის მოდერნიზაცია. ხელშეკრულება გაფორმდა ახალ ინტერნეტ მომწოდებელთან, რომელიც ბევრად უფრო ხარისხიან მომსახურებას გვთავაზობს. წლის განმავლობაში ინტერნეტ-მომსახურეობის გადახდის ეკონომია, წინა წელთან შედარებით, 4500 ლარს შეადგენს. ინტერნეტ მომსახურება უფრო ხარისხიანი გახდა და ქსელში დამატებით ჩაერთო 10 ახალი კომპიუტერი.

საანგარშო პერიოდში, ისე როგორც მთელი წლის განმავლობაში, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის საკითხებს სათანადო ყურადღება ეთმობოდა. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა 85 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო 30, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო - 35. სპეციალურ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 1 მოქალაქე. სპეციალური აღრიცხვიდან მოიხსნა და საერთო აღრიცხვაზე გადაყვანილი იქნა 6 მოქალაქე. თბილისის შემკრებ - გამანაწილებელ პუნქტში, სამედიცინო კომისიას წარედგინა 44 წვევამდელი. 25 წვევამდელი ჩაირიცხა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 19 წვევამდელს გადაუვადდა გაწვევა.

ბოლო 6 თვე საკმაოდ დატვირთული იყო კულტურული ღონისძიებებით. ჩატარდა ტრადიციული ფერისცვალების დღესასწაული კურორტ ბახმაროში. მუნიციპალიტეტის ანსამბლები აქტიურად იყვნენ ჩართული ფესტივალ „არტ-გენი“-ს პროგრამებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის საფუძვლის ჩაყრას. აქტიურად ვთანამშრომლობდით ამ მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო გიდების მომზადების კურსები. გამოიცა მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბუკლეტი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის დელეგაცია იმყოფებოდა ლიტვაში ქალაქ პასვალისში. საპასუხო ვიზიტით პასვალისის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ესტუმრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს. შედგა შეთანხმება ერთობლივი კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე.

ბოლოს კი იმის საილუსტრაციოდ თუ რა მოცულობის სამუშაოს ასრულებს ჩვენი მუნიციპალიტეტის თვითმართველობის აღმასრულებელი შტო, წარმოგიდგენთ ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე ანალიზს.

მხოლოდ ბოლო 6 თვეში რეგისტრაციაში გატარდა: სახელმწიფო კაცელარიიდან,საქართველოს პარლამენტიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან და დეპარტამენტებიდან შემოსული 122 კორესპონდენცია.

- გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული - 63 კორესპონდენცია;
- მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ არსებული დაწესებულებებიდან შემოსული 180 კორესპონდენცია;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული 36 კორესპონდენცია;
- მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 1295 განცხადება;
- მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა და გაიგზავნა 1760 წერილი.
- გზავნილისათვის შესრულდა 71 რეესტრი.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა 2015 წლის საქმეთა ნომეკლატურის შედგენა და 2014 წლის საქმეთა არქივირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გამგეობის სტრუქტურული რეორგანიზაცია. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, იურიდიულ განყოფილებასთან ერთად შემუშავდა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა გამგეობის დებულება, ადმინისტრაციული სამსახურის დებულება, გამგეობის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები და გამგეობის საშტატო ნუსხა.

- 2014 წლის ბოლო 6 თვეში მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 15 დადგენილების პროექტი;
- შესწავლილი იქნა და სამართლებრივი დასკვნა მომზადდა გამგეობის სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა პროექტზე;
- მოხდა გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ორი მოქალაქის მიერ შეტანილ სარჩელზე;
- სხვა განყოფილებებთან ერთად, პერიოდულად მიმდინარეობს გამგებლის წარმომადგენლებისა და სხვა საჯარო მოხელეების სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება.
- მომზადდა გამგებლის 946 ბრძანება.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გადამოწმებული და წესრიგში იქნა მოყვანილი ამ სამსახურის თანამშრომელთა პირადი საქმეები. ასევე, მოთხოვნის შესაბამისად, დამზადდა და გაიგზავნა აღნიშნულ თანამშრომელთა დოკუმენტაცია შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში.

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის შემდეგ მოხდა სამსახურში ახალმიღებულ თანამშრომელთა პირადი საქმეების შექმნა.

შემუშავდა შრომითი ხელშეკრულების პროექტები.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს მოთხოვნათა დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ გამოვლენილა.

ვთვლით, რომ გასული წლის ბოლო 6 თვე მუნიციპალიტეტის თვითმართველობამ საკმაოდ აქტიურად იმუშავა, ხორციელდებოდა ინტენსიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რასაც ჩვენი თანამოქალაქეები ძალიან აფასებენ და რაც არაერთხელ აღუნიშნავთ, მათ შორის, რეგიონული მასმედიის საშუალებებითაც.